ევროკავშირის ერაზმუსის პროგრამის მეორე კონფერენცია

საერთაშორისო კვირეული 2019 დასავლეთ ატიკის უნივერსიტეტში

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი აქტიურ მონაწილეობას იღებს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ Erasmus+ პროგრამაში. პროგრამის ფარგლებში მას აქვს დადებული ხელშეკრულება საბერძნეთის დასავლეთ ატიკის უნივერსიტეტთან, რომელიც ქვეყნის ერთ-ერთ უმსხვილეს საგანმანათლებლო დაწესებულებას წარმოადგენს. ერთობლივი პროექტი (2018-2020) ძირითადად ეძღვნება საგანამანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობას თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებაში, მათ შორის ქვანტური ინფორმატიკის მიმართულებით.

20-24 მაისს, დასავლეთ ატიკის უნივერსიტეტში (საბერძნეთი) გაიმართა Erasmus+ საერთაშორისო კვირეული 2019 - ერაზმუსის პროგრამის მეორე კონფერენცია, სადაც მსოფლიოს 54 ქვეყნის უნივერსიტეტების (მათ შორის აშშ, იაპონია, უკრაინა, სერბეთი და სხვა) წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობდა სტუ-ს დელეგაცია საინჟინრო-ფიზიკური დეპარტამენტის თანამშრომლების, დოქტორების თამარ ბერბერაშვილის, ლალი ჩახვაშვილის, ნონა ესიავას და მანანა ბერიძის შემადგენლობით.

პროფესორი თამარ ბერბერაშვილი კონფერენციაზე წარსდგა ერთობლივი ქართულ-ბერძნული მოხსენებით (სურ.1), რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა.



სტუ-ს პროფესორ - ქალბატონებმა არაერთი მნიშვნელოვანი შეხვედრა გამართეს სხვადასხვა ქვეყნისა და სხვადასხვა უნივერსიტეტის კოლეგებთან, რაც საფუძველი გახდება ახალი

ერთობლივი პროექტების შექმნა-განხორციელებისა, როგორც საგანმანათლებლო, ასევე სამეცნიერო მიმართულებით (სურ.2-4).

ერთ-ერთი ასეთი პროექტი, რომელიც ამჟამად მუშავდება ევროპელ კოლეგებთან ერთად, შემოდგომაზე წარსდგება ევროკავშირის შესაბამის კონკურსზე.

სურ.2

სურ.3

სურ.4